კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი:

ქ. თბილისი, ცისკრის ქუჩა №6, ცისკრის შესახ. №4, გურჯაანის №1, ს/კ №01.17.01.046.005, მშენებლობადამთავრებული სასტუმრო.

საგანი:

დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა

აღნიშნული ობექტის მშენებლობა წარმოებული იქნა ჩვენი საპროექტო გუნდის მიერ დამუშავებული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამჟამად განიხილება მისი მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები და შეუსაბამობები. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური ისპექციის 02,02,2024 წლის N10/01233071625-17 ბრძანება.

აღნიშნულ ბრძანებაში ჩამოთვლილი ხარვეზებიდან და შეუსაბამობებიდან კონსტრუქციულ ნაწილს შეეხება შემდეგი:

- შეცვლილია აივნების რაოდენობა;

-შეცვლილია შენობის გადახურვის ფორმა სიმაღლე;

-შენობაში ნაწილობრივ დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია;

- შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა;

- კიბეებზე ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა;

- შემცირებულია „4-6“ მონაკვეთში მდებარე ლიფტის კარის გაბარიტი;

- ფასადი”AB-BI “ +13.40 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია;

- 0,00 ნიშნული: “AC” “A5” მონაკვეთში დამატებით მოეწყო კოლონა;

- „3“ და „9“ ღერძის კვეთასთან გაუქმებულია ლიფტის ღიობი და კარი;

- „D2“ ღერძთან დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია;

- *ამავე ღერძზე შემცირებულია კოლონების რაოდენობა;*
- *13,40 ნიშნული შეცვლილია აივნების და ტერასების გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია სართულის სიმაღლე;.*
- *C4 CC-CF მონაკვეთებში გაუქმებულია +15,40 ნიშნულზე ამავალი კიბეები;*
- *სრულად არ არის ასახული +5,18 ნიშნულზე არსებული ლითონის კონსტრუქცია.*

ყველა ეს შენიშვნა ასახულია და შეესაბამება თავის დროზე კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, მაგრამ ამავე დროს არ შეესაბამება ქალაქ თბილისის მერიაში ატვირთული და შეთანხმებული პროექტის თავდაპირველ არქიტექტურულ ნაწილს. აქვე აღსანიშნავია, რომ დამკვეთის მოთხოვნით მშენებლობის წარმოება (კონსტრუქციული ეტაპები) მიმდინარეობდა ჩვენი საპროექტო გუნდის საავტორო ზედამხედველობით.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ დაფიქსირებული „დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა“ არ ეხება ძირითად მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს. შენობის ფუძე-საძირკვლების და კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.

ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს “კონსტუდიო”-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 02-04-2024